კონსტრუქციული დასკვნა

ობიექტი: დაბა წყნეთი, რუსთაველის ქ. №52, შპს "ბაქსვუდი"-ს საერთაშორისო სკოლა

საგანი: არსებული შენობის ტექნიკური მდგომარეობა და მასზე რეკონსტრუქციის ჩასატარებელი სამუშაოების შესაძლებლობა

აღნიშნული ოთხსართულიანი სახლი აშენებულია გასული საუკუნის 70-იან წლებში. შენობის მზიდი კონსტრუქციები წარმოდგენილია კლასიკური კარკასულ-ჩარჩოვანი სისტემით. პირველი სამი სართული – ანაკრები რკინაბეტონის დახურვის ფილებით, სვეტებით და კოჭებით, ხოლო მანსარდის ტიპის ბოლო სართული ლითონის სვეტებით, ჯვარედინა კავშირებით და მონოლითური რკინაბეტონის კოჭებით. გადახურვა მოწყობილია ხის კოჭებით.

ვიზუალური დათვალიერებით და ანალიზით, მოცემულ შენობაზე არ ვლინდება რაიმე სახის კონსტრუქციული ხარვეზი, დეფექტი ან გადახრა. არსებული მზიდი კონსტრუქციული ელემენტების საერთო ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

არქიტექტურული გადაწყვეტებით რეკონსტრუქციას ექვემდებარება არსებული ზედა სართულის კონსტრუქციულ - გეგმარებითი პირობები და შენობის წინა ფასადი. შენობაზე არ ხდება დამატებითი დონის ან სივრცის შექმნა. პროექტით გათვალისწინებულია ზედა სართულის იატაკის 30 სმ-იანი სისქის თბოიზოლაციის დანიშნულების მძიმე ფენის მოხსნა.

ამავე დროს მნიშვნელოვანია შემდეგი: მუშა დოკუმენტაციის კონსტრუქციული ნაწილის პროექტში გამოყენებული იქნას ხე - ლითონის მსუბუქი კონსტრუქციული ელემენტები; არქიტექტურული დანიშნულების ფასადის და ახალი იატაკების სამშენებლო მასალები აგრეთვე უნდა შეირჩეს დაბალი სიმკვრივის. საერთო ჯამში შენობაზე არ უნდა მოხდეს დამატებითი მასების შექმნა და გავლენა არსებულ დაფუძნების პირობებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩატარება შესაძლებელია - ის არ მოახდენს უარყოფით გავლენას არსებული შენობის მდგრადობაზე და მზიდუნარიანობაზე.

ექსპერტი, ტ.მ.ა.დ.
ინჟინერ-კონსტრუქტორი

პირადი №01025003946
edishertso@gmail.com

ედიშერ წოწერია

05-09-2014